ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7

ტელ.: 378501, 378396

№ 12/14183598-16

27 07. 2014 წ.

ქ.თბილისი ვაზისუბნის IმI/რ. კორპუსი #2 ბინა #33-ში მცხოვრებ მოქალაქე ანზორ ლობჟანიძეს

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14183598-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) 19.06.2014წ. #1334639 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე, ვარკეთილის ზემო პლატოს IIმ/რ-ის #10 კორპუსის მიმდებარედ თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევების გათვალისწინებით:

,,J-A” ფასადი: +0.00 ნიშნულზე ,,B-A” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი გამწოვი მილი. შენობის ძირში ცოკოლის ნაწილი გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. +3.10 ნიშნულზე ,,A-A” ღერძთან ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.

,,1-2” ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. ფასადზე შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები.

,,A-J” ფასადი: ფასადზე შეცვლილია ზოგიერთი ვიტრაჟის ნახატი. ,,C-E” მონაკვეთში არ არის მოწყობილი დეკორატიული გადახურვა. ,,E-J” მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები.

,,2-1” ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. +3.10 ნიშნულზე შემცირებულია ფანჯრის სიგანე 0.5 მ-ით.

„1-2˜, „2-1˜ და „ა-ჟ˜ ფასადებზე შენობის ძირში კერამიკული ფილების ნაცვლად შესრულებულია ქვით მოპირკეთება, ასევე ფასადებზე გაუქმებულია ლითონის მსუბუქი საჩრდილობლები და კარნიზები.

+0.00 ნიშნულზე, „A-B” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბაქანი. „2-2˜ ღერძზე, -0.90 ნიშნულზე, „J-F” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონა. „1-2” მონაკვეთში -0.90 და +0.00 ნიშნულებზე კედლის მონაცვლებით შეცვლილია შენობის კონფიგურაცია და ფართი. +3.10 ნიშნულზე, „J-F” მონაკვეთში „2-2˜ ღერძზე დამატებულია კოლონა. მე-2 სართულზე „B-A” მონაკვეთში „2-1” ღერძებს შორის შემცირებულია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ღიობი სიგანეში 0.25 მ-ით. სახურავზე შეცვლილია პარაპეტის ფორმა და გაბარიტები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

საქართველო GEORGIA
შ.პ.ს "გ უ დ ა ბ ე ნ ი" "GUDABENI" Ltd.

ქ. თბილისი ლიც. № 2690 ტ. 2951984
წინამძღვრიშვილის ქ. №37 LIC 558104301

N: 01119 "25" 11 " 2013 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის ზემო პლატოს II მ/რ-ს №10 კორპუსის მიმდებარედ განთავსებული საპროექტო ობიექტი წარმოადგენს 1 სართულიან, კარკასულ, მაღაზიებისთვის განკუთვნილ მშენებარე ობიექტს, რომელიც შ.პ.ს "ეკო-92"-ის მფლობელობაშია. აღნიშნული შ.პ.ს-ს წარმომადგენლებს კორექტირებული პროექტით სურთ დააშენონ მეორე სართული.

საპროექტო წინადადებით, დამკვეთის სურვილის რეალიზებისათვის გათვალისწინებულია, არსებული კარკასზე მეორე სართულის დაშენება, ერთიანი მოცულობის უზრუნველყოფა და საჭირო სივრცის შექმნა.

ამ მიზნით შევისწავლეთ კონსტრუქციული პროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა. აგრეთვე ადგილზე დავათვალიერეთ მშენებლობა; გამოსაკვლევი ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მშენებლობა ხორციელდება პროექტის სრული დაცვითა და გათვალისწინებით.

კონსტრუქციული პროექტის შესწავლისას დადგინდა, რომ თავდაპირველად დაპროექტებული ერთ სართულიანი ობიექტის მზიდი კონსტრუქციები პერსპექტივაში გათვალისწინებული იყო დაშენებისთვის და მისგან მიღებული დატვირთვების მისაღებად. ასე რომ ნორმებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების დაცვის შემთხვევაში, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული მეორე სართულის დაშენება სრულიად შესაძლებელია და არანაირ ტექნიკურ საფრთხეს არ შეუქმნის სარეკონსტრუქციო ობიექტს.

შ.პ.ს "გუდაბენის" დირექტორი ე. დანელიშვილი